დანართი №1

„საქართველოში 1990-იანი წლების შეიარაღებული მოქმედებებისა და 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების ოჯახების თანადგომის" საგრანტო პროგრამის

საკონკურსო პირობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

1. საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს ან მის ფილიალს, რომელიც საქმიანობს საქართველოში, დაინტერესებულია საგრანტო პროგრამით გათვალისწინებული მიზნებით და აკმაყოფილებს ამ პროგრამის ფარგლებში შექმნილი საგრანტო კომისიის მიერ დადგენილ ყველა კრიტერიუმს.

2. საგრანტო განაცხადით მოთხოვნილი გრანტის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამის გეოგრაფიულ არეალში საგრანტო პროგრამით გათვალისწინებული დაფინანსების ზედა ზღვარს.

3. განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საგრანტო წინადადება, საგრანტო პროგრამით გათვალისწინებულ, კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში ყველა ძირითად განზომილებაზე.

4. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- შევსებული, ხელმოწერილი და დასკანირებული საგრანტო განაცხადის ფორმა (დანართი №2);
- საგრანტო წინადადება (დანართი №2.1);
- სამოქმედო გეგმა (დანართი №2.2), რომლითაც გათვალისწინებული აქტივობების შესასრულებლად განსაზღვრული ვადა დაგეგმილი უნდა იყოს ამ განაცხადში მოცემული მნიშვნელოვანი ვადების გათვალისწინებით;
- პროექტის ბიუჯეტი (დანართი №2.3);
- პროექტის თანამშრომლების რეზიუმეები ქართულ ენაზე;
- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ან მისი ფილიალის განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ან მისი ფილიალის ოფიციალური წესით დამოწმებული ორგანიზაციის წესდება;

5. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, **განმცხადებელი ვალდებულია დააკმაყოფილოს შემდეგი მოთხოვნები:**

- კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობასთან მუშაობის გამოცდილება (უპირატესობად ჩაითვლება უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ოჯახებისა და მათი სპეციფიკური მდგომარეობის შესახებ სათანადო ცოდნა);
- ღონისძიების ორგანიზების გამოცდილება (მინიმუმ ერთი ღონისძიება), რაც დადასტურებული იქნება ხელშეკრულებით და/ან მიღება-ჩაბარების აქტით.
- ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის მხარდამჭერი სესიების ჩატარების კომპეტენცია და მინიმუმ 2 (ორი) წლიანი სამუშაო გამოცდილება. აღნიშნული უნდა დასტურდებოდეს გაწეული მომსახურების დამადასტურებელი ხელშეკრულებებითა და მთლიანი ან ნაწილობრივი შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- პროგრამის თანამდგომის - სოციალური მუშაკის კანდიდატურა, რომელსაც ექნება სფეროში მინიმუმ 2 (ორი) წლიანი სამუშაო გამოცდილება. აღნიშნული უნდა დასტურდებოდეს შემოთავაზებული კანდიდატის რეზიუმით (CV), სადაც სრულყოფილად იქნება მოცემული ინფორმაცია მისი გამოცდილების შესახებ;
- მინიმუმ 1 (ერთი) ფსიქოლოგის კანდიდატურა, რომელიც ფლობს 2 (ორი) წლიან სამუშაო გამოცდილებას. აღნიშნული უნდა დასტურდებოდეს შემოთავაზებული ფსიქოლოგების კანდიდატურების რეზიუმეებით (CV), სადაც სრულყოფილად იქნება მოცემული ინფორმაცია მათი გამოცდილების შესახებ.

ჩამოთვლილთაგან რომელიმე დოკუმენტის წარმოუდგენლობა შესაძლოა, გახდეს განმცხადებლის დისკვალიფიკაციის საფუძველი.

განაცხადების განხილვისას საგრანტო კომისია ხელმძღვანელობს სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2024 წლის 02 ივლისის N 23 ბრძანებით.

საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად თანამონაწილეობა არ არის სავალდებულო.

საგრანტო განაცხადისა და შესაბამისი დოკუმენტების მიღება მითითებული ვადების გათვალისწინებით ხდება მხოლოდ ელექტრონულად, ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე: press@smr.gov.ge

საგრანტო განაცხადი შედგება შევსებული საგრანტო განაცხადის ფორმისა და თანდართული დოკუმენტაციისგან, რომლებიც ამავე ფორმით არის გათვალისწინებული (საგრანტო განაცხადის ფორმა და თანდართული დოკუმენტაცია ჩამოტვირთეთ ვებგვერდიდან www.smr.gov.ge).

გრანტის მიმღებმა საგრანტო ხელშეკრულების დადებამდე სახელმწიფო მინისტრის აპარატის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტში (დეპარტამენტი) უნდა წარმოადგინოს საგრანტო განაცხადისა და თანდართული დოკუმენტების დედნები.

გრანტის მიმღები ვალდებულია, გრანტის გამცემს წერილობით, მატერიალური ფორმით წარუდგინოს მიმდინარე და საბოლოო პროგრამული და ფინანსური ანგარიშები, საგრანტო ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.